საქართველო

ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა საერთაშორისო პარტიის ორგანო

ფულიანი ბარათებიანი „საქართველოს" ან „ბატონებს" ბეჭდავენ, მაგრამ თქვენი ადრესი გაიგეთ და გიგზავნით.

წლიური ფასი: 5 მან. თითო ნომერი: 25 კაპ.

№ 11 ფასი 25 კაპ. 1 აპრილი 1904 წ. № 11

უმორჩილესად ვსთხოვთ ყველას, ვინც თანაგვიგრძნობს, მოგვაწოდონ სოლმე ყოველგვარი მასალა, როგორც ქართველის, ისე ფრანგულის გამოცემისათვის: დოკუმენტები, წიგნები, კორესპონდენციები და წერილები.

რადგან ჩვენი გაზეთი ჯერ-ჯერობით ერთად-ერთი თავისუფალი ორგანოა, ამიტომ მიგ ადგილი დაეთმობა ყოველნაირ მიმართულების წერილებს, რომელთაც აზრად ექნებათ ქართველ ხალხის ინტერესთა გამოსარჩლება. მხოლოდ რედაქცია ამა თუ იმ წერილს თავის შენიშვნასაც გაუკეთებს.

მკითხველს ვსთხოვთ ყოველი ნომერი „საქართველოსი", წაკითხვის შემდეგ, სხვებსაც გადასცეს ხელმე, რათა ამ სახით სელი შეუწყოს ჩვენის გაზეთის გავრცელების საქმეს.

ყოველი შემოწირულება როგორც ფულით, ისე წიგნებით, დიდის მადლობით მიიღება.

რედაქციის და ადმინისტრაციის ადრესი: 51, rue Saint-Sauveur, PARIS.

ცალკე ნომრები ისყიდება:
SOCIÉTÉ NOUVELLE de LIBRAIRIE & d'ÉDITION.
17, rue Cujas. PARIS (Ve).

შინაარსი

შეიარაღებული თავისდაცვა და ტერორი. — ქართულ ცხოვრების მატიანე. — ეკიდურეს ნაციონალიზმის ნიმუშები. — ჩვენის დროის მოღალატენი (მთიელისა). — ქართველ მასწავლებელთა როლი ერის გამოღვიძებაში (მეხისა). — რუსეთის ქრონიკა. — სიმართლე ომის შესახებ.

შეიარაღებული თავისდაცვა და ტერორი

ხალხის ცხოვრებაში ზოგჯერ იმისთანა ხანა დგება ხოლმე, როდესაც იგი თავის მტერს იარაღით ებრძვის, იარაღის დახმარებით იძენს თავისუფლებას. ეს ის ხანაა, როდესაც ხალხს თავისუფლებისადმი მისწრაფება ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი, როდესაც ხალხს მონურ და დამცირებულ სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნია და როდესაც გულში იმედი უდვივის: ძალა მაქვს, აღვუდგები მტერს, მტერი ვერ გამიძლებს და დამითმობს, რასაც ვითხოვ. აი ამ ხანაში იმყოფებიან დღეს მაკედონელნი, რომელნიც იარაღით არამც თუ თავს იცავენ, არამედ მტერს თავს ესხმიან კიდეცა.

მიუკერძველად რომ შევხედოთ ჩვენს მდგომარეობას, ქართველ ხალხის პოლიტიკური მომზადება რომ გავითვალისწინოთ, უნდა გულწრფელად აღვიაროთ, რომ ჩვენი ხალხი ჯერ-ჯერობით ამგვარ ბრძოლისათვის მომზადებული არ არის. იარაღით იერიშის მიტანა ჩვენს მტერზე დღეს შეუძლებელია, რადგან რუსეთი ამგვარ რევოლუციისათვის მოუმზადებელია; მარტო ჩვენი ხალხი კი ვერას გააწყობს, განსაკუთრებით მხედველობაში თუ მივიდებთ, რომ იგი ჯერ კიდევ არ არის ერთის ძლიერის აზრით გამსჭვალული.

მაგრამ ჩვენს ხელში ბრძოლის სხვაგვარი საშუალებაა. პირველ საშუალებად მიგვაჩნია: ხალხში თავისუფლების აზრის გავრცელება, ხალხის გონებრივი გაჩვრთნა გარემოების და დროის შესაფერ ლიტერატურით. მოქმედებას ნათელი აზრი უნდა მიუძღოდეს. სანამ მატერიალურ ხასიათის (ეროვნული, სოციალური თუ პოლიტიკური) რევოლუცია მოხდებოდეს, ადამიანის გონებაში უნდა იყოს მომზადებული რევოლუცია. ამიტომ ხალხში თვითცნობიერების გაღვიძება, ხალხის მომზადება იმგვარად, რომ მისთვის ცხადი შეიქმნეს, რა გზით განთავისუფლდება იგი ეროვნულად და ეკონომიურად, — ყოველივე ეს სარევოლუციო ჯგუფს უმთავრესად უნდა ჰქონდეს სახეში.

ხოლო ამას ვერ დავჯერდებით. ამ ხასიათის მოქმედება, მიუხედავად თავის დიდ-მნიშვნელობისა, ვერ დააკმაყოფილებს მებრძოლ ჯგუფს; ვერ დააკმაყოფილებს, რადგან მუდამდღე რუსეთის თვითმპყრობელობა თავის პოლიტიკურ სისტემის ძალით, იმგვარ უმსგავს მოვლენებს და პირობებს ჰბადავს ჩვენში, რომ მათს წინააღმდეგ ეხლავე, დაუყოვნებლივ აქტიურად უნდა აღუდგეს წინ უკვე მეგნებული ნაწილი და აღარ უცადოს სანამ ყველანი განიმსჭვალებიან მტრის წინააღმდეგ ბრძოლის სურვილით. როდესაც თქვენს პიროვნებას, ადამიანურ ღირსებას ფეხქვეშ სთელავენ, როდესაც მტერი არ გინდობთ და არამცთუ ჰლახავს თქვენს კაცურ-კაცობას, არამედ თვით თქვენს სიცოცხლესაც კი ემუქრება და ხშირად გართმევთ კიდევაც, ამ შემთხვევაში, თუ თქვენში არ გამქრალა ჯერ კიდევ ადამიანურ ღირსების გრძნობები, თუ არ დალაჩრებულხართ და დამცირებას ვერ იტანთ, თუ უსახელო, ძაღლური სიკვდილი სამარცხვინოდ მიგაჩნიათ, ამ შემთხვევაში ვერ მოითმენთ, ძალ-მოძრეობას აღუდგებით და, თავისა და პიროვნების დასაცავად, იარაღითვე გასცემთ პასუხს მჩაგვრელს, მიუხედავად იმისა, ბევრნი ხართ ამგვარ გრძნობებით გამსჭვალულნი თუ ოცოტანი. ამ შემთხვევაში თქვენი აქტიური მოქმედება, თქვენი პროტესტი მეიარაღებულთა ვის დაცვაში გამოისახება, რომელიც მეიარა-

ღებულ თავსდასხმისაგან განირჩევა მხოლოდ იმითი, რომ თქვენ იგერიებთ თქვენზე აღმართულ იარაღს. რასაკვირველია, შეიარაღებულ თავისდაცვას მეტი ძალა და მნიშვნელობა ეძლევა, როდესაც მას ჯგუფებრივი ხასიათი აქვს, როდესაც მტკიცე ორგანიზაციები ერთად მოქმედებენ და ერთად იგერიებენ პოლიციას და ჯარს.

რუსეთში, როგორც ყველამ იცის, ტერორისტულ საშუალებას პირველად « ნაროდნაია ვოლიას » პარტიამ მიჰმართა. დასაწყისში, « ნაროდოვოლცები » მარტო სოციალისტურ პროპაგანდას მისდევდნენ ხალხში. ხოლო როდესაც მთავრობამ სასტიკი დევნა დაუწყო, როდესაც საპყრობილეს და ციმბირში დაჰღუპა დიდძალი ხალხი, « ნაროდოვოლცებმა » იარაღს მოჰკიდეს ხელი და რუსეთში გაჩნდა ტერორი. ჩვენ ესლა ტერორისტიულ ხანის აღწერას ვერ გამოვუდგებით; ვიტყვით მხოლოდ, რომ შედარებით პატარა ჯგუფმა ისეთი ძლიერი ბრძოლა გაუწია თვითმპყრობელობას, რომ კინაღამ არ დასცა და არ დაამხო იგი. ყველამ იცის, რომ კონსტიტუცია უკვე დაწერილი იყო ლორის-მელიქოვის მიერ, რომ მთავრობამ დაუთმო ტერორისტებს და მოწადინებული იყო წარმოადგენელების მოწვევას. ტერორისტებს რომ სცოდნოდათ ეს ამბავი, 1 მარტის მკვლელობა არ მოხდებოდა.

ხოლო მეოთხმოცე წლებში ტერორიზმის მომხრენი თვით რუსეთის სოციალ-დემოკრატებიც იყვნენ. 1883 წელს პლეხანოვმა, აქსელროდმა და ვერა ზასულიჩის ქალმა დაარსეს « შრომის განთავისუფლების ჯგუფი ». ამ ჯგუფის პროგრამაში მისნი სულის ჩამდგმელნი სწერდნენ: « ჯგუფი აღიარებს ტერორისტულ ბრძოლის საჭიროებას თვით-მპყრობელობის წინააღმდეგ და « ნაროდნაია ვოლიას » პარტიას, მხოლოდ პოლიტიკურ უფლებათა დაბყრობის კითხვებში არ ეთანხმებაო »... (1) ამავე ჯგუფის სხვა გამოცემაში, რომელიც 1885 წელს გამოვიდა, სწერია: « მუშათა წრეებში პროპაგანდა და ტერორისტული მოქმედება ერთმანეთს არ უშლიან, რადგან ტერორიზმი გადუშლის მუშებს წინ ვრცელ, მოულოდნელ მოქმედების ასპარეზს ». (2). თუმცა 1887 წლიდამ დაწყებული, სოციალ-დემოკრატები ისე აშკარად აღარ არიან მომხრენი ტერორიზმისა, მაგრამ მაინც ზოგერთ პირობებში მის მნიშვნელობას არ უარყოფენ. ამრიგად « რუსეთის სოც.-დემოკრატთა პროგრამის პროექტში » (1887) ვკითხულობთ: « პარტია არ უარჰყოფს ტერორისტულ მოქმედებასაც, თუ იგი ბრძოლის ინტერესებისათვის საჭიროდ გახდებაო ». 1891 წელში ჟურნალი « სოციალდემოკრატ » ამნაირად სჯის ამ საგნის შესახებ: « ჩვენ არ ვამბობთ, ვითომ ტერორისტული მოქმედება საბოლოო მიზნის განხორციელებისაგან გვამორეკდეს, როგორც ჰგონიათ იმათ, ვისაც ხელმწიფის იმედი აქვთ და ამტკიცებენ, ოდონდ ნუ გააჯავრებთ ხელმწიფეს და კონსტიტუციას მოგცემთო. ხოლო პოლიტიკური ხასიათის მკვლელობა, როდესაც იგი ხალხის ძალაზე არ არის დამყარებული, სუსტ საშუალებად მიგვაჩნია ჩვენის მიზნის მისაღწევად. მაგრამ თუ ჯარის დაუხმარებლად კერძო პირების გმირული მოქმედება უნაყოფოდ რჩება, პირიქით, როდესაც ჯარი მომზადებულია და კერძო პირების უკანაც ხალხის ძალა დგას, მაშინ ამ პირების გმირული მოქმედება, ზოგიერთ შემთხვევაში, ბრძოლის ბედს სწყვეტავს და მოძრაობასაც აგვირგვინებსო ». (1).

საყურადღებოა, რომ თანამედროვე სოციალ-დემოკრატებმა რადიკალურად შესცვალეს თავიანთი აზრები ტერორის შესახებ და ამგვარ ბრძოლის საშუალებას ძირიანად უარ-ჰყოფენ. ტერორის წინააღმდეგ « ისკრა » არის გალაშქრებული. « ტერორი თითქოს რევოლუციონერთა სასოწარკვეთილების მოძასწავებელიაო », ამბობს ეს გაზეთი. (2) « ვინც დღეს ტერორს უყურებს, როგორც ბრძოლის ანუ « სისხლის აღების » იარაღს, ის ხვალ... ტერორს გახდის ერთად-ერთ სარევოლუციო საშუალებად და მაშინ მშვიდობით სოციალიზმოვო » — ვკითხულობთ « ისკრის » 26 ნომერში. « ტერორს დღევანდელ პირობებში გამოუსადეგარ იარაღად ვსთვლით იმიტომ, რომ ცუდი ფსიხიური გავლენა აქვს ხალხზე », ამბობს ვერა ზასულიჩი (3). საგულისხმოა, რომ ვერა ზასულიჩი სულ სხვა შეხედულობისა იყო წინად ტერორის ფსიხიურ გავლენის შესახებ. « ტერორისტების გმირული ბრძოლა — სწერდა ვერა ზასულიჩი ჟურნალ « სოციალდემოკრატში » — აღფრთოვანებას უღვიძებდა მშვიდობიან ლიბერალებს, აფიცროება აღელვა და სტუდენტობა აამოძრავა. ეჭვი არა მაქვს, რომ სამის წლის განმავლობაში ინტელიგენცია ისე იყო აღელვებული, მუშათა კლასი რომ ყოფილიყო მაშინ გამოღვიძებული სოციალისტურ პროპაგანდით... იმ დროს პეტერბურგში რომ შესაძლო ყოფილიყო აჯანყება... პეტერბურგის საზოგადოება ძალიან კარგა აასრულებდა თავის მოვალებასო », (4). ამრიგად, წინად ტერორს თურმე აღმაფრთოვანებელი გავლენა ჰქონდა საზოგადოებაზე, ესლა კი იმავე ვერა ზასულიჩის და ყველა მის თანამოაზრეთა შეხედულობით, ტერორიზმის ფსიხიური მნიშვნელობა ხალხზე არამც თუ უსარგებლო, მავნებელიც არის.

აი ამგვარ მიმართულების წინააღმდეგ, ტერორისტულ მოქმედების გასამართლებლად, გამოვიდნენ დღეს « სოციალისტ-რევოლუციონერები », რომელთაც ამ მხრივ იდეიურ კავშირი აქვთ « ნაროდნაია ვოლიას » ძველ პარტიასთან. « სოც.-რევოლუციონერები » არამცთუ მარტო თეორიულად იცავენ ტერორიზმის მნიშვნელობას, არამედ პრაქტიკულადაც მოქმედებენ (5). უფის გუბერნატორი, ბოგდანოვიჩი, რომლის ბრძანებით მუშათა დემონსტრაციის დროს მრავალი მუშა იქმნა მოკლული და დაჭრილი, სოც.-რევოლუციონერთა « მებრძოლ რაზმის » ერთ წევრის მიერ იყო მოკლული. ხარკოვის გუბერნატორი, თ. ობოლენსკი დასჭრა, « მებრძოლ რაზმის » წევრმა. მინისტრ სიპიაგინის მკვლელი ბალმაშევიც ამავე რაზმს ეკუთვნოდა. მინისტრის მოკვლის მეორე დღეს « მებრძოლ რაზმმა » პროკლამაცია გამოსცა, რომელშიაც სხვათა შორის სწერია: « იმ ქვეყანაში, სადაც მშვიდობიან ხასიათის დემონსტრაციების გამართვის გამო მინისტრები მოწადინებულნი არიან სისხლით მორწყონ დედა-ქალაქი, იმ ქვეყანაში, სადაც ხალხის ერთ ნაწილს პირს უკრავენ და აიძუ-

(1) „Рев. Россія" № 28.
(2) იქვე.

(2) იქვე.
(1) № 28.
(2) „ ისკრა " № 3.
(3) „ რევ. როს. " № 21.
(5) უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ წინაღმდეგნი ვართ ინდივიდუალურ ტერორისტულ აქტის ორგანიზაციისა. იგი არის და უნდა იყოს პირადი საქმე. შ. რედ.

ლებენ ჩუმათ იყვნენ ხოლმე, მეორე ნაწილი უნდა ალაპარაკდეს, ხოლო სხვა ენით. ტყვიის ზუზუნი, — აი ერთად-ერთი ლაპარაკი, რომელიც შეიძლება გავმართოთ ჩვენს მინისტრებთან, რომელთაც ადამიანური ლაპარაკი არ ეყურებათ და არ ესმით, რას ითხოვს დღეს მთელი ქვეყანა ». რასაკვირველია, « ისკრისტები » ამაზედ იმას ამბობენ, რომ ტერორიზმი დაასუსტებს მუშებში საორგანიზაციო პრინციპს, ხალხის სულიერ მდგომარეობაზე მავნებლად იმოქმედებსო. გაიგებს თუ არა ხალხი « მკვლელობის » ამბავს, იტყვის : კარგია, კმაყოფილნი ვართ, ჩვენს მაგიერად გადუხადეს მტერს. ეხლა ვეღარაფერს გაგვიბედავენ და თუ გაგვიბედეს, კიდევ გამოჩნდებიან გულადები, რომელნიც ჩვენს ღირსებას დაიცავენო. ამრიგად, ტერორიზმის ზედგავლენით ხალხი სხვას შეჰყურებს და სხვისაგან მოელის შველასაო. ასე სჯიან « ისკრისტები ».

ჩვენის აზრით, ყოველივე ეს არგუმენტად არ ჩაითვლება. ხალხის ფსიხოლოგია ასეთი ადვილი გამოსაცნობი არ არის. ვის შეუძლია დარწმუნებით სთქვას, რომ ხელში მიჭირავს საზომი და ამ საზომის საშუალებით შემიძლია გავზომო და გამოვიკვლიო ფსიხიური ვითარება ადამიანისაო ? ტერორიზმი ინიციატივას დაუკარგავს ხალხსაო. სოციალისტ-რევოლუციონერები წინააღმდეგს ამტკიცებენ, ხოლო იმ დროს როდესაც პირველნი « ფსიხოლოგიურ » ხასიათის არგუმენტებით სცდილობენ უარ-ჰყონ ტერორიზმი, უკანასკნელნი დღევანდელ პოლიტიკურ პირობების ნადაგზე დგანან და ამბობენ, როცა არც ლაპარაკის უფლებას გვაძლევენ, როცა მშვიდობიან დემოსტრანტებს თოფებს უშენენ, მაშინ ქვდის მოხრა ადამიანისათვის შეუწყნარებელია და ტერორი გამოდის ასპარეზზედ.

* * *

ამ წერილის თავში უკვე ვსთქვით, რომ კოლექტიური მოქმედება შეიძლება იყოს ორგვარ ხასიათისა. ერთი ისეთი, როდესაც ხალხი თავს ესხმის მჩაგვრელებს, მეორე ისეთი, როდესაც იარაღით იგერიებს მჩაგვრელთა თავდასხმას. თითქმის ყველა სარევოლუციო ჯგუფები და პარტიები თანახმანი არიან, რომ დღეს რუსეთში შეუძლებელია შეიარაღებული აჯანყება და იარაღით აღება თვით-მპყრობელობის ციხისა. პირ-იქით, ბევრნი იმ აზრისანი არიან, რომ ეხლა დადგა დრო კოლექტიურ თავის დაცვისათვის. ხოლო აქაც « ისკრა » და საზოგადოდ ს.-დემოკრატები ყოყმანში არიან და ერთ გამორკვეულ აზრს არ ადგანან.

საგანი ამნაირად არის დაყენებული. დემოსტრანტები ქუჩებსა და მოედნებზე გამოდიან. მათი განზრახვა არის, დაანახვონ ყველას, რომ მთავრობის მტრები არიან : დროშას აფრიალებენ, « სიტყვებს » ამბობენ და სხვა ამგვარი. მოდის პოლიცია და ჯარი. დაერევიან ხოლმე დემოსტრანტებს, უმოწყალოდ სცემენ. მაგრამ ცემასაც არ სჯერდება, ხალხს ხოცავს. ასე იყო უფასა, როსტოვსა, ბათუმსა, ბაქოსა, ტფილისსა, ხაშურში და სხვაგან. რაკი ასეა, დემოსტრანტები უნდა შეიარაღებულნი იყვნენო, ცემაზე ცემითვე უნდა უპასუხონ, ტყვიაზე ტყვიითვეო. ამ აზრს დაადგნენ რევოლუციონერები. სწორედ ამასვე ამტკიცებდა ისკრა მე-14 ნომერში. იმგვარი წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ დემოსტრანტებმა პოლიციას და ჯარს, რომ მათ კარგად დაახსოვდეთ. « ისკრა » საქმის რიგიანად მოწყობისათვის « მოძრავ მებრძოლ რაზმების » დაარსებას ჰქადაგებდა, შეტაკების დროს ქუჩებში მავთულები უნდა გაებასო, რომ ცხენოსან ჯარის და არტილერიის მოძრაობა შეფერხდესო. ერთის სიტყვით, « ისკრა » შეიარაღებულ თავისდაცვის მოძმრედ გამოვიდა პირველ ხანებში. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ « ისკრამ » უკანვე წაიღო თავისი აზრი. « ისკრის » ერთ მკითხველს უნდოდა ნათლად გამოერკვია ეს საგანი და ამ განზრახვით ხსენებულ გაზეთის რედაქციას მიჰმართა წერილით და სთხოვა, « გადაჭრით სთქვითო, ხართ შეიარაღებულ თავისდაცვის მოძმრენი თუ არაო და ამასთან ახსენით, რას ნიშნავს რედაქციის მიერ ნახმარი « о необходимости организаціи отпора » ? სიტყვა « отпоръ », როგორ უნდა გვესმოდესო ? « რევოლუციონერთა წრეებში ეხლა იბადება აზრი, დემოსტრანტები უნდა შეიარაღდნენ ხოლმეო », ეს უნდა ეთქო რედაქციას, როდესაც სიტყვა « отпоръ » იხმარა, თუ სხვა რამ... ამ საგნის განმარტებაა საჭიროო, მით უმეტეს, რომ შეიარაღებულ თავისდაცვის მოძმრენიც სწორეთ ისე ასაბუთებენ თავიანთ აზრს, როგორც დასაბუთებულია « ისკრაში » დაბეჭდილი წერილიო » (о демонстраціяхъ № 14).

ამაზედ « ისკრის » რედაქციამ შემდეგი უპასუხა : « .... თუ დემოსტრანტების რიცხვი რამდენიმე ასი კაცია მარტო, ჩვენ არავითარ რჩევას არ მივცემთ წინააღმდეგობის გაწევის შესახებ... სულ სხვაა, თუ დემოსტრაციაში დიდძალი ხალხი იღებს მონაწილეობას (масса, რამდენ რიცხვიდამ უნდა შესდგეს ეს « масса », ისკრა არ ამბობს. რედ.)... წინააღმდეგობა ამგვარ ხასიათის უნდა იყოს (подготовить отпоръ, это значитъ) : დემოსტრანტების განსაზღვრული ნაწილი ისე უნდა იყოს განაწილებული, რომ მას პოლიციასთან შეტაკების დროს ხალხის ხელმძღვანელობა შეეძლოს ; ასე, გაქცევა თუ დააპირეს, უნდა დაამოძმინოს, მოთმინებიდამ თუ გამოვიდა და პოლიციას შეუბღვირა, აქაც უნდა დაამშვიდოს, რათა სისხლის ღვრამდე არ მიიყვანოს საქმე — და აი სწორედ აქ გამოჩნდება ჯ.-ხების და « კისტენების », (1) როგორც თავისდასაცველ იარაღების, მნიშვნელობაო. დემოსტრანტების ხელმძღვანელნი და ორგანიზატორები იმას უნდა სცდილობდნენ, რომ პოლიციამ არ გაიმარჯვოს და ხალხი არ დამინდეს. და ეს ადვილად მოხდება ამ შემთხვევაში, თუ დემოსტრანტები არევით და შეუთანხმებლად გაუწევენ პოლიციას წინააღმდეგობას და აგრეთვე, თუ უდროოდ მიჰმართავენ შეიარაღებულ წინააღმდეგობის გაწევას. ამგვარ წინააღმდეგობის გაწევას ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში ვურჩევთ დემოსტრანტებს, დარწმუნებულნი რომ ვყოფილიყავით, « რევოლუციის წინადღეებში ვიმყოფებით, როდესაც ხალხის « შეტაკება » ჯართან აჯანყებად გადაიქცევა ხოლმე ». (2). ამ ხიტვებიდამ აშკარაა, რომ რუსეთის სოც.-დემოკრატია ორგანო წინააღმდეგია შეიარაღებულ დემოსტრაციებისა. ჯოხებით გამხეცებულ ყაზახების შეკავება, « კისტენების » საშუალებით წესრიგის დაცვა დემოსტრანტთა მორის, როდესაც მას თოფებს ესვრიან, სწორედ საარაკო საქმეა.

იქნება გეგონოთ, რომ ამგვარი აზრი « რედაქ-

(1) რკინის ბეჭდებია, რომლებსაც კრიგის დროს თითებზე წამოიცვამენ ხოლმე. რედ.

(2) „ ისკრა " № 16.

ციას »? შემთხვევით წამოსცდა? არა, ორჭოფობა სარევოლუციო მოქმედების კითხვებში თანაზდევს « ისკრის » რედაქციას. ქვევით დავინახავთ, რაგვარ ხელმძღვანელობას უწევს სოციალ-დემოკრატია მუშებს იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი მზად არიან იარაღით დაიცვან თავიანთი სიცოცხლე და ადამიანური ღირსება. ახლა კი მოკლედ განვმარტოთ, თუ რაგვარი საშუალება გვაქვს ხელში სარევოლუციო ბრძოლისათვის.

* * *

ჩვენს წინ სამი პრაქტიკული საშუალებაა. პირველი — პროპაგანდა; მეორე — ინდივიდუალური ტერორი; მესამე — შეიარაღებული ჯგუფებრივი თავის დაცვა. ინდივიდუალურ ტერორის მესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ იგი კერძო ადამიანის სინიდისის საქმეა (იხ. ზემოდ შენიშვნა. რედ.). ჩვენ იმგვარ პოლიტიკურ პირობებში ვიმყოფებით, როდესაც ზემოხსენებულ საშუალებათა გარედ, სარევოლუციო პარტიას აღარაფერი დარჩენია ხელში. რასაკვირველია, ზოგიერთ მომენტებში ერთი საშუალება უფრო უნდა გამოდგეს ვიდრე მეორე, ან კიდევ მეორე ვიდრე მესამე. ხოლო შესაძლებელია სამივე ერთად გამოსაყენებელი იყოს. არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ რევოლუცია, სოციალურია იგი, პოლიტიკური თუ ერეკვნული — მეტად რთული მოვლენაა. და ამიტომ მრავალგვარ საშუალებით უნდა მზადდებოდეს. გონების გაჩრთვნა, ორგანიზაციების შექმნა, ზნეობრივ დისციპლინის დამყარება ჯგუფებსა და ორგანიზაციებში, ჯგუფების მომზადება იარაღით თავისდაცვისათვის, როდესაც მათს არსებობას და მათთა ნაგვრთა სიცოცხლეს ემუქრებიან, — ყოველსავე ამას უნდა ხმარობდეს სარევოლუციო პარტია, რომლისათვისაც კი სიტყვა « რევოლუცია » ცალიერი ფრაზა არ არის.

ქართველ ხალხში ჩვენ სწორედ რევოლუციონურ ელემენტებსა ვზედავთ, ჩვენმა ხალხმა თუ მეითვისა რაიმე აზრი, მას მისი პრაქტიკული განხორციელებაც ჰსურს. მარშან გურიაში მომხდარი გლეხთა არეულობა ამ მხრივ ფრიად საყურადღებო იყო. როდესაც გლეხების წინააღმდეგ სამხედრო ძალა გამოიყვანეს, ხალხი თითქმის მზად იყო შეტაკებისათვის. ბათუმელი ბუშებიც იყვნენ ამ მხრივ მომზადებულნი. ყველამ იცის, რომ გურიაშიაც და ბათომშიაც მხოლოდ ადგილობრივ სოციალ-დემოკრატთა კომიტეტების ზედგავლენით მიეცა მოძრაობას მშვიდობიანი ხასიათი. საყურადღებოა ამ მხრივ ბათუმელ ს.-დ. კომიტეტის მოქმედება. ბათუმში მუშათა არეულობის დროს, როდესაც ჯარის-კაცების მიერ მოკლული იყო 14 კაცი და მუშებში იარაღით წინააღდეგობის გაწევის სურვილმა იფეთქა, ადგილობრივი სოც.-დემოკრატიული კომიტეტი ყოყმანში იყო. საგნის გადასაწყვეტად მიჰმართა პეტერბურგის კომიტეტს და გამოუცხადა რა ბათუმელების თანხმობა ცენტრალურ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის დაარსებისათვის, სხვა კითხვათა შორის, რჩევა სთხოვა, როგორ უნდა მოვიქცეთ დემონსტრაციების დროს: « არის საჭირო თუ არა ყველა საშუალებით დავიცვათ თავი, თუ პირველ მუქარისთანავე უნდა გავიფანტნეთო. თუ წინააღმდეგობის გაწევა საჭიროა, რანაირად, რაგვარი იარაღით; შეტაკების დროს თოფ-დამბაჩა, დანები და ხანჯლები ვიხმაროთ, თუ ქვებით და ჯოხებით წავიდეთ იოლიასაო »? (1) ამგვარი იყო აზრა. პეტერბურგის კომიტეტმა უპასუხა: მე გადაჭრით პასუხს ვერ მოგცემთ. მძიმე კითხვაა და ამის გადაწყვეტა უმაღლეს ინსტანციაში უნდა გადავიტანოთ, რუსეთის ს.-დ. მეორე კონგრესის კრებაში, ხოლო ჩვენის მხრივ შემდეგს მოგახსენებთო: ჩვენ არც გირჩევთ შეიარაღებულ წინააღმდეგობის გაწევას დემონსტრაციების დროს, არც წინააღმდეგნი ვართ ამისი (не рекомендуя и не осуждая вооруженнаго сопротивленія на уличныхъ демонстраціяхъ...), (2) ხოლო პეტ. კომიტეტს ჰგონია, რომ როდესაც შეიარაღებული პოლიცია თავს დაეცემა ხოლმე დემონსტრანტებს, იგი თავსდასხმა შეიძლება იყოს შეჩერებული და შესუსტებული მარტო იარაღით კი არა, არამედ დემონსტრანტების მწყობრობის დაურღვევლადაც » (3) (Нападеніе вооруженной полиціи на демонстрантовъ можетъ быть не только сдерживаемо, но и парализуемо не только вооруженіемъ демонстрантовъ, но также ихъ организованностью).

არა გვგონია, რომ ბათუმელებმა გაიგეს რამე ამ რჩევიდან. გულწრფელად ვამბობთ, ჩვენც მისი არა გვესმის-რა. გვესმის მხოლოდ, რომ პეტერბურგის კომიტეტი მომხრეც არის და წინააღმდეგიც ჯგუფებრივ შეიარაღებულ წინააღმდეგობისა.

ამ ორჭოფობის და გამოურკვევლობის წინაშე, პირველი ჩვენი მოვალეობაა მოვიმოძრაოთ თავიდან ამგვარი მრჩევლები. ბურჟუაზიულ ცენტრალიზმს თავი დავანებოთ და ჩვენის საკუთარის ჭკუით ვიაროთ, ეს მით უმეტეს არის საჭირო, რომ როდესაც პეტერბურგში ცივა, ჩვენში სიცხეა, სანამ პეტერბურგიდან ქაღალდი მოგვივა. შინ შეიძლება ამოგვწყვიტონ. პეტერბურგელ სოციალ-დემოკრატებმა თავიანთ გარემოების მიხედვით იმოქმედონ, ქართველ რევოლუციონერებმა თავიანთი გარემოება უნდა იქონიონ სახეში. « უმაღლეს წრეებიდან » ნებართვას ნუღარ ველით თავისუფლების მოპოვების საქმეში. და მუდამ ქაძს უნდა გვახსოვდეს, რომ ამგვარ კითხვათა გადაწყვეტაში სოციალ-დემოკრატები უდონონი არიან. განა საგანგებო რამ არ მოხდა ეხლახანს გერმანიის რეიხსტაგში. იმპერიის კანცლერ ბიულოვმა ბრალი დასდო გერმანელ სოციალ-დემოკრატებს, რუსებს ჰშველით სარევოლუციო ლიტერატურის გადატანის საქმეშიო. ებებელმა, ს.-დემოკრატთა მეთაურმა, უპასუხა ბიულოვს, « გერმანიის ს.-დემოკრატთა პარტიის კომიტეტს არავითარი კავშირი არა ჰქონდა რუსულ ლიტერატურის გადატანის საქმეში. ხოლო გერმანელი ის ს.-დემოკრატები, რომელნიც ხელს უწყობდნენ ამ საქმეს, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გადაჰქონდათ სოციალ-დემოკრატიული და არა სარევოლუციო ლიტერატურა. (1).

როგორც ხედავთ, ებებელი ერთმანეთს უპირდაპირებს სოციალ-დემოკრატულ და სარევოლუციო ლიტერატურას. კარგადაც სჩადის, ხოლო რასაკვირველია ამის შემდეგ, რომ გერმანიის ს.-დემოკრატიის « შეგირდებიც », რუსეთის ს.-დემოკრატები, ეგზომ ერიდებიან სარევოლუციო მოქმედებას და მარტივ

(1) „ ისკრა ” № 23. Отвѣтъ П. Ком. Партіи на запр. бат. рабочихъ.

(2) კურსივი ჩვენია.

(3) „ ისკრა ” № 23. რედ.

(4) Arbeiterzeitung n° 61. კურსივი ჩვენია.

კითხვებზე იგავ-არაკების მოთხრობას მოჰყვებიან ხოლმე.

ვიმეორებთ, ჩვენის საკუთარის ჭკვით რომ ვიარეთ, დავრწმუნდებით, რომ ჩვენშიაც როგორც რუსეთში, ნიადაგი მომზადებულია შეიარაღებულ თავის დაცვისათვის!

ქართულ ცხოვრების მატიანე

იანვარში მრავალი ქართველი ოჯახება გასჩხრიკეს ყანდარმებმა ტფილისში. დაიჭირეს: იოსებ იმედაშვილი, კაკი წერეთელი, დოლიძე, ფერშალი ჩიჩუა, ანდრონიკაშვილი და სხვ. ანდრონიკაშვილს უკვე ჰგზავნიან ციმბირში. სხვებს ხოგს გამოშვებას უპირებენ, ხოგიც უნდა გაგზავნონ ციმბირისაკენ. გაჩხრეკის დროს პოლიციის მხრივ სამწუხაროდ ქართველი მოხელენი ესწრებოდნენ. მათს შორის თავი ისახელა ბოქაულმა ბაგრატ ზედგინიძემ. ერთგან დაიტრაბახა კიდეც ზედგინიძემ: „ანდრონიკაშვილი და მისი ამხანაგები ჩემი დაჭერილებია“.

—«»—

იანვარში ორჯელ გადაიხადეს ტფილისში პანაშვიდი ველიჩკოს ხულის მოსახსენებლად. ამ პანაშვიდების გადახდას, სხვათა შორის, მოთავეობდა ბ-ნი დავით სარაჯიშვილი, რომელმაც 14.000 მ. ასესხა ველიჩკოს, როცა ამ უკანასკნელს გოლიცინის ბრძანებით 24 საათის განმავლობაში ანგარიში უნდა ჩაებარებინა თავის მოადგილისათვის და ჩასაბარებელი ფული კი დახარჯული აღმოჩნდა. საინტერესოა, რაინდი სარაჯიშვილი ვის მოსთხოვს ამ ვალს? პანაშვიდებს დაესწრნენ: ილ. ჭავჭავაძე, ნიკ. ცხვედაძე და ირ. გუნცაძე.

—«»—

ტფილისში უცნაური ხმა გავრცელდა რუს-იაპონელთა ომის გამო. ინგლისმა ბათომზედ ომრიში უნდა მოიტანოხო. იქაური ხახინა საიდუმლოთ უკვე ქუთაისში გადმოუტანიათ. შეძლებული ხელოვნ ბათომიდამ იხოხნებაო.

—«»—

ეგზარხოსს გორში ჩამოსვლის დროს მიჰგებებია გენერალი გივი (ივანე) ამილახვარი და უთქვამს: „თქვენი, როგორც საქართველოს ეკლესიის უფროსის, მოხრძანება ჩემს სახლში დიდი ბედნიერება იქნებოდა ჩემთვის, მაგრამ ისეთი ულვთო ადამიანი (დეკანოზი ვოსტორგოვი) გახლავსთ თანა, რომ სახლში ვერ მიგიღებთოო.

—«»—

დიდი ხენია ხოხელები მთავრობასა სთხოვენ, საგაყო გიმნაზია დაგვიარსეთო. აშკარადაც ამტკიცებდნენ გიმნაზიის დაარსების საჭიროებას. ეს თხოვნა განუმეორეს ახლახან კავკასიაში სწავლა-განათლების მხრეწველს ბ-ნ ზაგადსკის. ღირსეულის მთავრობის ღირსეულმა წარმომადგენელმა აი რა უპასუხა მთხოვნელებს: „მთავრობა იმასაც კი ნანობს, რომ ქართველებს ამდენი გიმნაზიები გაქვსთო, არამცთუ ახალი გიმნაზია გავხსნათ — ჩვენის მტრების შვილების აღსაზრდელადაო“. კიდევ კარგი, რომ რაც გულში უდევსთ, პირდაპირ მაინც გვეუბნებიან და ამით სამუალებას გვაძლევენ, უფრო მალე გამოვიღვიძოთ, უფრო მალე გავახილოთ თვალი მტრის დასანახავად.

—«»—

ტფილისის გუბ. თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავ. დ. მელიქიშვილს ძილი აქვს გამკრთალი ამ უკანასკნელ ხანს. სხვა გუბერნიების წინამძღოლნი ახერხებენ ხესხად ფულის აღებას ომის საჭიროებისათვის და მე კი აქამდე ვერაფერი მომიხერხებიაო. არ ეყო მურდალ გოლიცინის ფეხების ლოკვა. ახლა ცდილობს განიორწყლებულ ქართველ თავადაზნაურობასაც გამოაღებინოს ფული და თავისს მწყალობელ ხელმწიფეს გაუგზავნოს: მეიწირეთ ჩვენი წვლილი და ერთხელ კიდევ დარწმუნდით, რომ თქვენი ყურმოჭრილნი მოწანი ვართ ქართველებიო. იქნება გუბერნატორობა მისცენ ბ-ნს მელიქიშვილს, იმის ნატვრა ხომ ეს არის!...

—«»—

ბორიტ ვოსტორგოვის ოინბაზობით მცხეთის დედათა მონასტრის წინამძღვარი ნინო იძულებული გახდა თავისი ოთხკლასიანი საქალებო სასწავლებელი საბარქიო საბჭოს უწყებისათვის გადაეცა. ხოლო საბჭოს გადაწყვეტილი აქვს ეს სასწავლებელი დახუროს და მის მაგიერ გახსნას ორკლასიანი სასწავლებელი, სადაც ქართულის ენის ხსენებაც კი არ იქნება. როგორც ვიცით, მთელს საქართველოში მცხეთის სასწავლებელი ერთად-ერთი სასწავლებელი იყო, სადაც თანამედროვე პედაგოგიის კანონების მოთხოვნილებათა თანახმად ასწავლიდნენ ბავშვებს. მთავარი ყურადღება მიქცეული ჰქონდა სამშობლო ენას. დიაღაც რომ საკვირველია ასეთის სასწავლებლის დახურვა. სანატრელია ჩვენმა მშობლებმა ახლად გადაკეთებულს სასწავლებელში, რომელსაც აზრად ექნება ბავშვების გონებრივი დამახინჯება, თავიანთი ბავშვები არ მიაბარონ. მართალია, უსწავლელნი დარჩებიან, მაგრამ ვოსტორგოვის გეგმაზე, სწავლას (?) ისევ უსწავლელობა სჯობიან.

—«»—

ქუთაისში, მოსწავლეთა ეკანასკნელ არეულობაში მონაწილეობა მიუღიათ როგორც სემინარიელებს, ისე ქალთა საეპარქიო სასწავლებლის შეგირდებსაც. ამის გარდა თვით სემინარიამიაც შემდეგი ამბავი მომხდარა. 1 თებერვალს სემინარიის რექტორს შეგირდები შეუყრია და რუს-იაპონიის ომის შესახებ სიტყვა წარმოუთქვამს. თავისი სიტყვა ასე დაუსრულებია: „რუსის ღმერთი არ მიანიჭებს გამარჯვებას უსჯულოებსაო, ე. ი. იაპონელებსაო. ქართველებიო, თქვენც შეგვედრეთ რუსის ღმერთსაო“. ომის მოწინააღმდეგე სემინარიელებს უთქვამსთ, ღმერთს სრულებით არ უნდა ადამიანი თავის მოყვასის სისხლსა ღვრიდესო, მოდი, ერთი რუსის ღმერთის ძლიერებაცა ვნახოთო, და ღამე სემინარიის ეკლესიაში შესულან და დაულეწნიათ ხატები, ჯვრები, ბარძიმ-ფეშხუმი. ეს მკრეხელობას და მთავრობის საწინააღმდეგო საქმიელს, უეჭველია, სემინარიის დახურვა მოჰყვებაო, ამბობენ ქუთაისში.



უკიდურეს ნაციონალიზმის ნიმუშები

(სრულიად რუსეთის ს.-დ. კონგრესის ოქმებიდან).

პოლიტიკურ პარტიის ფსიხოლოგია ხშირად ფორმულებსა და შემუშავებულ პროგრამებში კი არ გამოსახულა, არამედ იმ აზრებსა და გრძნობებში, რომლებითაც აღჭურვილნი არიან პარტიის წევრნი და იმ თავისუფლად წარმოთქმულ სიტყვებში, რომელთაც ადგილი აქვთ პარტიის კრებებსა და კონგრესებზე. ასე, მაგალითად, თუ გინდათ გაგოგოთ ფსიხოლოგია სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიისა, მისის ერთის ნაწილისა მაინც, გადაშალეთ სრულიად რუსეთის ს.-დემოკრატიის მეორე კონგრესის პროტოკოლები და გულდასმით დაუწყეთ კითხვა. უცნაურს რასმე შეხვდებით ამ პროტოკოლებში. თქვენს გაოცებას საზღვარი არ ექნება. ამ დოკუმენტების წაკითხვის დროს დაინახავთ „პროგრამის“ მთხზველების ნამდვილ ფიზიოგნომიას, აქ ჰპოვებთ იმგვარ „მარგალიტებს“, რომ კითხვის დროს, უნებლიედ ეჭვი დაგებადებათ: ნუ თუ შესაძლებელია, რომ მოწინავე პარტიის წევრების გული ამ ზოგამდე დახშული ყოფილიყოს საეჭვო ხასიათის გრძნობებითა და აზრებითაო?

მაგრამ გადაშალოთ თვით პროტოკოლები. ანგარიშის მე-170 გვერდზე საუბარია რუსეთის განაპირა ქვეყნების მოძავალ ორგანიზაციის შესახებ.

..... დელეგატი რუსოვი იმ აზრისაა, რომ განაპირა ქვეყნებს საოლქო (областное) თვით-მმართველობა უნდა მიენიჭოსო. და რადგან პოლონელი სოციალ-დემოკრატებიც ავტონომიას ითხოვენ, თუ დავამტკიცეთ საოლქო თვით-

მმართველობა, პოლონელებიც დაკმაყოფილდებიანო. გარდა ამისა, ამგვარი გადაწყვეტილება პასუხი იქნება იმ ნაციონალისტების მიმართ, რომელთაც ჰგონიათ, რომ ნაციონალურ კითხვის გადაწყვეტა მხოლოდ სეპარატიზმით შეიძლებაო. და ამასთან, კითხვის ამნაირად გადაწყვეტა „ წელში მოგვცემს იარაღს, რომელსაც გამოვიყენებთ იმგვარ ნაციონალისტურ ორგანიზაციების წინააღმდეგ, როგორიც არის, მაგ., ახლად დაარსებული ქართულ-ფრანგული გაზეთი „ საქართველო ". „ საქართველო " ავტონომიას ითხოვს ერთვნულ კულტურის განვითარებისათვის, ხოლო ამასთან ამ ორგანოს ჰსურს, საქართველოს ყველა საზოგადოებრივი კლასები ერთ ერთვნულ დროშის ქვეშ შეფარეს ". ჩვენ უნდა ვაჩვენოთ ყველას, რომ ერთვნულ კულტურის დაცვა პროლეტარიატის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება და მით „ საქართველოს " გავლენას შევამცირებთ განაპირა ქვეყნის მუშებზეო.

ამრიგად სჯის საოლქო თვით-მმართველობის მომხრე დელეგატი. ჩვენ აქ კამათობას არ დავუწყებთ იმის გამო, რომ პატივცემულმა დელეგატმა იცრუა და ცილი დასწამა გაზეთ „ საქართველოს ", — ყველა კლასების გაერთიანება სწადიაო. საინტერესო უფრო ის არის, თუ სხვა დელეგატებმა რა სთქვეს ამის გამო.

დელ. ტ რ ო ც კ ი წინააღმდეგია საოლქო თვით-მმართველობისა. ადგილობრივი თვით-მმართველობა სამყოფიაო.

დელ. ს ტ რ ა ხ ო ვ ი იმ აზრისაა, რომ სიტყვა „ ოლქი " უნდა წავშალოთ, რადგან იგი მეტია და არას უმატებს ადგილობრივ თვით-მმართველობის მცნებასაო.

დელ. ლ ე ნ ი ნ ი წინააღმდეგია „ საოლქო " თვით-მმართველობისა. სიტყვა „ ოლქი " გამოურკვეველია „ და ამასთან შეიძლება ეს პარაგრაფი ისე განმარტოს, ვითომ სოციალ-დემოკრატია სახელმწიფოს დანაწილების მომხრეაო ".

დელ. ლ ი ბ ე რ ი არ ეთანხმება ლენინს. „ ადგილობრივი თვით-მმართველობა სოფლების და ქალაქების თვით-მმართველობაა, ხოლო ოლქი სოფლებისა და ქალაქების კავშირიაო ".

ფრიად საყურადღებოა, რომ სოციალ - დემოკრატების ბაირაღტარები, როგორც ტროცკი და ლენინია, განაპირა ქვეყნებს მხოლოდ „ ადგილობრივ თვით-მმართველობას " (ზემსტვოს) უწყალობებენ. „ საოლქო თვით-მმართველობას " რომ დააკვირდეს ადამიანი, იგი ბევრით არ განირჩევა ერობისაგან (ზემსტვო), შეიძლება უფრო ვრცელი რაიონი ეჭიროს, ხოლო ამასაც კი არ ეთმობენ ხალხს ტროცკი და ლენინი. ლენინი ხომ „ სახელმწიფოს „ ერთიანობის " დამცველადაც კი გამოვიდა, არ დაგვაბრალონ რუსეთის განაწილების სურვილიო. თითქო დიდ ღირსებასა და პატიოსნებაში ჩამოერთმეოდეს ვისმე რუსეთის ერთობისა და განუყოფელობის გამოქომაგება და დაცვა, იმ ერთობისა, რომელიც მოტყუების, ძალდატანების და სისხლის ღვრის დახმარებით იყო დამყარებული.

(შემდეგი იქნება).

ჩვენის დროის « მოღალატენი »

(ტფილისიდან)

ძველად ქართველ თავად-აზნაურობაში ნამდვილი მამულიშვილები იყვნენ. ისინი ხშირად სწირავდნენ თავიანთ სიცოცხლეს მამულის საკეთილდღეოდ. საომრად თუ გამოდიოდნენ, სამშობლოს მტერს ეომებოდნენ მედგრად და ვაჟკაცურად. მაგრამ ამავე ძველ დროში მოღალატე თავადებიც იყვნენ. ისინი თავიანთ პირად ინტერესების გასაძლიერებლად მამულს ჰღალატობდნენ. ომშიაც გამოდიოდნენ, ხოლო მტრის ბრძანებით, მამულის დასაცავად კი არა, არამედ მ ტ რ ი ს გასაძლიერებლად. ბევრს უმსახურნია ხონთქრების და შაჰების ჯარებში, ბევრს მიუცია თავისი აზალგაზდობა და სიცოცხლეც საქართველოს მტერთა გასაძლიერებლად.

და აი ამ თავადების ჩამომავალნი დღესაც იმავე გზას დაადგნენ. რუსეთის თვით-მპყრობელობას ემსახურებიან. თვით-მპყრობელობის მტერი თავიანთ მტრათ მიიჩნიეს და შემთხვევას არ ჰკარგავენ თავიანთი სიყვარული, ერთგულება და თავგანწირულება არ გამოუცხადონ საქართველოს მტარვალებს. ვიმეორებთ, ყოველივე ეს ძველთაგან მომდინარეობს: ეგ შ თ ა მ ო მ ა ვ ლ ო ბ ი თ ი მ ო ღ ა ლ ა ტ ე ო ბ ა ა. და როგორც ძველ დროში ზიზღით უყურებდნენ ამგვარ პირებს, როგორც ძველ დროში ებრძოდნენ ქვეყნის და თავისუფლების მოღალატეთ, ეხლაც ამგვარივე პასუხი უნდა გავცეთ მათ.

აი დღეს ქართველ თ.-აზნაურობისაგან სდგება „ მებრძოლი რაზმი ", რომელიც თავის საკუთარის ნება-ყოფლობით მორეულ აღმოსავლეთში იპოვნელების წინააღმდეგ მიდის საომრად. რომ ჰკითხოთ რა დაუშავეს იაპონელებმა ჩვენს თავადებს? გიპასუხებენ: თავხედი ყვითელ-კანიანი კერძთ-მსახური თავს დაეცა ქრისტიან სახელმწიფოს — რუსეთს, რომელმაც საქართველო დაიფარა მაჰმადიანებისაგან, დაგვიცვა ეკლესია, ენა, ერთვნება, შემოიტანა ჩვენში კულტურა და სხვაო. ადამიანმა ყოველთვის უნდა გაიმარლოს თავი სინიდისის წინამე. და ჩვენი თავადებიც ამგვარ სოფიზმებით და სიცრუით აძინებენ თავიანთ სინიდისს. ხოლო როცა მათ ეუბნებიან, გადაჰხედეთ ჩვენს ცხოვრებას, დააკვირდით რა ხდება ჩვენში. ეკლესია დაეცა, ენა განდევნილია გეკლესიიდამ, სკოლიდამ, სასამართლოდამ, ხალხს მიწას ართმევენ, საქართველოს ტერიტორიაზე რუსებს ასახლებენ, ქართველთა ერთვნების განადგურება სწადიათ.... როცა ამაებს ეუბნებით, გიპასუხებენ: ხელმწიფემ არ იცის საქმის ნამდვილი მდგომარეობა. ყოველივე ეს ადმინისტრაციის და მოხელეების ბრალიაო. ხელმწიფეს ერთგულება უნდა დავანახვოთ, რათა ჩვენი მხარე დაიფაროს ჩინოვნიკებისგანო.

და აი ამ ილუზიებით, უკეთა ვსთქვათ, ამ სიცრუით სინიდის მიძინებული მოღალატენი იაპონელების სახოცავად ემზადებიან, რათა ამ განწირულებით გული მოუგოს „ მფარველს " ხელმწიფეს და მისი წყალობა არ მოიკლონ...

წავიდნენ, გზა დაგვილოცნია. ხოლო თუ დაბრუნებისას იმედ გაცრუებული თავადები ისევ სამშობლო წრეს მონახავენ, იცოდნენ, სამშობლოში ვეღარ იპოვიან ადგილს, იცოდნენ, რომ ზიზღის მეტს ვერაფერს ნახავენ ქართველ ხალხში. დაგვილოცნია მათთვის მოღალატეობის გზა!...

მთიელი

ქართველ მასწავლებელთა როლი ერის გამოღვიძებაში

ძველს დროში, როგორც მთელს ევროპაში, ისე საქართველოში, ერს უძღოდენ წინ, აღვიძებდენ და აქეზებდენ მტერთა და მტარვალთა წინააღმდეგ განსაკუთრებით თ.-აზ ნ ა უ რ ო ბ ა და ს ა მ ღ ვ დ ე ლ ო ებ ა. ახალ დროში კი ორმავე წოდებამ დაჰკარგა თავისი როლი და მნიშვნელობა. დღეს მათი ადგილი დაიკავეს მ წ ე რ ლ ებ მ ა და მ ა ს წ ა ვ ლ ებ ლ ებ მ ა. ამ ასს წელში სადაც კი ყოფილა რაიმე ერთვნული მოძრაობა და აჯანყება, ყველგან სათავეში მდგარა ეს ორი ახალი დასი, ე. ი. მწერალი და მასწავლებელი. ამის მაგალითები აღურაცხველია. ავიღოთ საბერძნეთი, იტალია, უნგრეთი, ირლანდია, ბალკანეთის ერნი, სომხეთი და განსაკუთრებით გერმანია, ჩეხია, პოლონეთი და ეხლა მაკედონია. დიდი ბისმარკი აშკარად ამბობდა, რომ გერმანიის ტომნი შეაერთა და საფრანგეთზე გაამარჯვებინა სოფლის

მასწავლებელმაო. მასწავლებლის დიადი როლი ნათლად სჩანს ამ წუთს მაკედონიის მოძრაობაში. ვინ აღვიძებს იქ ერსა, ვინ მეთაურობს და უძღვის წინ ჩეხებს? ვინ? ვინ და მასწავლებელი. ვინ იბრძვის თავგანწირვით თავისუფლებისათვის და უჩვენებს მთელ ერს გმირობის მაგალითს? ვინ და მასწავლებელი.

მასწავლებელი მოქმედობს ბავშვზედ, ახალთაობაზედ, ასწავლის მათ სამშობლო ენა-მწერლობას, უღვიძებს გონებას, უნერგავს სამშობლოს სიყვარულს და აფხიზლებს მათს სულს. ბავშვების საშუალებით მოქმედებს მათ მშობლებზედაც, ვინაიდან ბავშვია ის რგოლი, რომელიც აკავშირებს მასწავლებელს ხალხთან. ერთი სიტყვით მასწავლებელი ქმნის ახალთაობას და მით მოქმედობს მთელს ერზედაც. აი მასწავლებლის დიადი როლი! აი მისი მთავარი მოწოდება. ასე მოქმედობენ სხვა ერებში მათი მასწავლებელნი.

ესმის კი ეს ჩვენს მასწავლებელთ? სამწუხაროდ ძლიერ მცირე რიცხვს აქვს გაღვიძებული პატრიოტული გრძნობა და ძლიერ ცოტას ესმის თავიანთი დიდი მოვალეობა. ჩვენთა მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა კი თითქმის უმეცარია და ნაკლებათ განვითარებული; ისინი ფორმალურად ასრულებენ თავიანთ საქმეს. არა აქვთ აღძრული სამშობლოს სიყვარული, ისინი მხოლოდ «ჩინოვნიკები» არიან და ამ რიგად ბრმა იარაღი ჩვენთა მტარვალთა ხელში. ზოგი მათგანი ჯამუშობის როლსაც კი ასრულებს თურმე. აი მასწავლებელთა უმეტესობის არა სანუგეშო და მავნე ტიპი. მაშინ როდესაც, ოჰ, რა დიდ სარგებლობას მოუტანდნენ ესენი ქართველ ერს, რომ მათ ესმოდეთ თავიანთი დიდი დანიშნულება. რა ადვილად გააღვიძებდნენ ხალხს!

სტატისტიკით ვიცით, რომ საქართველოში 1,000-ზედ მეტი საერო და სამრევლო სკოლებია. რომ მივიღოთ სახეში თითო სკოლაში თითო ქართველი მასწავლებელი, ვნახავთ რომ სოფლად არის დაბნეული ათასი საკმაოდ ნასწავლი კაცი და ამათ ახლო კავშირი აქვთ ხალხთან. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდ სარგებლობას მოუტანდენ ესენი პაწია ერს, რომ ყველა მათგანი იყვნენ შეგნებულნი და მამულის სიყვარულით გამსჭვალულნი. სამწუხაროდ ეს ასე არაა. ჩვენ კი უსათუოდ უნდა გამოვიყენოთ ერის გასაღვიძებლად ეს დიდი ძალა. ამისათვის საჭიროა ორი რამ: 1. ჩვენი ლეგალური და მეტადრე თავისუფალი პრესსა უნდა ცდილობდეს იმოქმედოს ამ მასწავლებლებზედ. აღძრას მათი სული და შეაგნებინოს თავიანთი უმთავრესი დანიშნულება. 2. თვით შეგნებულნი მასწავლებელნი უნდა ცდილობდენ შექნან თავიანთ შორის სხვა და სხვა წრეები და საზოგადოებანი, რათა მით იმოქმედონ თავიანთ კოლეგებზედ. ერთი სიტყვით უნდა იყოს მათზედ ორგვარი მოქმედება: გარედან და მიგნიდან, რომ ამ რიგად აღვძრათ ეს დიდი უმოქმედო და ხმირად მავნე ძალა და გამოვიყენოთ ერის საკეთილდღეოდ. საუბედუროდ ქართველ ერს არ უვარგა ორი რამ: დედა და მასწავლებელი, ოჯახი და სკოლა, ეს ორი სფერა, სადაც იზრდება და ვითარდება ახალი თაობა. ამ ორს კი უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ყოველი ერის გაღვიძებასა, გამხნევებასა და ადორძინებაში... ქართველი დედა და მასწავლებელი, აი ვინ უნდა უდგამდენ სულს და ვინ უნდა კურნავდენ ჩვენს დასუსტებულს და დაავადებულ ერს! აი რა უნდა იყოს მათი უზენაესი მიზანი და მისწრაფებანი!...

ქართველ დედაზე ჩვენ ვვეძნება ცალკე წერილი. ჩვენს მასწავლებლებზედ კი ვიტყვით, რომ დროა შეიგნონ ყველამ თავიანთი მაღალი დანიშნულება, დროა გაიღვიძონ, შეერთდენ, წაბაძონ თავიანთ კოლეგებს, ე. ი. სხვა ერთა მასწავლებელთ, გაიმსჭვალონ სამშობლოს სიყვარულით და შეიქნენ ერის ბელადნი ეროვნულ თვითცნობიერების გაღვიძებაში. დროა გამოიჩინოთ, ძმებო, მხნეობა და სამშობლოს სიყვარული! დროა იმოქმედოთ, ძმებო, ერთად და თამამად! დროა შეიგნოთ თქვენი მაღალი მოწოდება და აღასრულოთ ისტორიის მიერ თქვენთვის ბოძებული სახელი და უზენაესი როლი!...

მეხი

რუსეთის ქრონიკა

სტასიულევიჩის და არსენიევის ღალატი.

ამას წინად პეტერბურგის ერობამ იმპერატორს ოქმის გამო უქვემშვრდომესი ადრესი მიართვა. დეპუტაციაში, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ადრესის მიტანა, ერივნენ სტასიულევიჩი და არსენიევი — „ვესტნიკ ევროპის" რედაქტორი და ამავე ჟურნალის „მინაურ მიმოხილვის" ხელმძღვანელნი. სტასიულევიჩი და არსენიევი ორივე ცნობილი ლიბერალები არიან და მათმა საქციელმა სასოწარკვეთა ლიბერალების ორგანო „ოსვობოჟდენიე"-ს. სტრუვე, ამ ორგანოს რედაქტორი, გულის ტკივილით აღიარებს თავის წყენას ამ ინციდენტის გამო. „რასაკვირველია, ამბობს იგი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სტასიულევიჩმა და არსენიევმა უღალატეს თავიანთ რწმენას, მაგრამ მხედველობაში რომ მივიღოთ, რა პირობებში მოხდა ეს პატრიოტული მანიფესტაცია, უნდა აღვიარეთ, რომ ამგვარი საქციელი ისეთი კომპრომისია, ისეთი ორგულობაა, რომელიც ჩვენთვის და ყველა იმათთვის, ვინც პატივს სცემს სტასიულევიჩს და არსენიევს, შეუწყნარებელია"... (1).

—«»—

აქვს თუ არა რუსეთს ფული?

რუსეთის ოფიციალური პრესსა ამტკიცებს, მთავრობის ფული გამოულეველი აქვსო და ომს თუნდ ორი წლის განმავლობაში გაუძღვებაო. ხოლო ყოველივე ეს ჭეშმარიტებას მოკლებულია და ხალხის მოსატყუებლად არის მოგონილი. აი ფაქტები. 1904 წელს რუსეთს ჩვეულებრივი შემოსავალი ჰქონდა 1,980.094,493 მანეთი და არაჩვეულებრივი შემოსავალი — 2.750,000 მანეთი. საერთოდ აღებული — 1,982.344,493 მანეთი. ხარჯი აქვს ჩვეულებრივი 1,966.458,251 მანეთი და არაჩვეულებრივი — 212.178,804 მანეთი. საერთოდ აღებული — 2,178.637.055 მან. ამ ციფრებიდამ სჩანს, რომ რუსეთის ხარჯთ-აღრიცხვას დეფიციტი აქვს 195.792,562 მანეთი.

მართალია, სახელმწიფო ხაზინას საგანგებო თანხა აქვს. ამ თანხის დანიშნულებაა შეავსოს დეფიციტი, თავდებად დაუდგეს სახელმწიფოს კრედიტს და სამხედრო ხარჯებიც გაიღოს. თუ მხედველობაში მივიღეთ, რომ რუსეთს ათი მილიარდი ვალი აქვს, ადვილათ წარმოიდგენს ჩვენი მკითხველი, რა ყალბ ნიადაგზეა ამენებული ოფიციალურ ორგანოების ფუქსავატობა და ტრაბახობა. რუსეთი ღარიბი ქვეყანაა და ბიუჯეტი კი უფრო დიდი აქვს, ვიდრე მდიდარ ქვეყნებს. მაგალითად, საფრანგეთის სიმდიდრე გამოიხასნებოდა 260 მილიარდ ფრანკში (1878 წ.), რუსეთის სიმდიდრე კი (როგორც კერძო, ისე სახელმწიფო) 1899 წ. — 108 მილიარდს უდრიდა. (2).

ტვერის ერობას მთავრობა არა სწყალობს. სასტიკ ზომებმა, რომლებიც ამ უკანასკნელ ხანში იყო მიღებული ტვერის ერობის წინააღმდეგ, ძალიან ააღელვა ტვერის საზო-

(1) „Лист. Осв." № 2.
(2) La Tribune Russe n° 4.

გადოება. ტვერის გუბ. თ.-აზნაურთა წინამძღოლებმა პროტესტის ნიშნად სამსახურს თავი დაანებეს. ცნობილი საერობო მოღვაწე ი. რ. პეტრუნკევიჩი გაამეგეს ტვერიდამ. ამის გამო ნოვოტორჟის საერობო სამსახურში მყოფთ ყველამ თავი დაანებეს სამსახურს (მათში 30 მასწავლებელია).

—«»—

ზენგერის დათხოვნის გამო.

საერო განათლების მინისტრ ზენგერს, ამ ბოლო დროს უცნაურად ექცეოდნენ. „დიკლადებს" რომ წარუდგენდა ზოლმე ზელმწიფეს, ქაღალდებს უკან უბრუნებდნენ ზელმწიფის მენიშვნებით კი არა, არამედ „გრაყდანინის" რედაქტორის, თ. მემჩერსკის, მენიშვნებით. ნოემბერში, როდესაც მემჩერსკის რჩევით, ზელმწიფემ უბრძანა მინისტრს, ყველა საერობო და სამინისტრო სკოლები სინოდის გამგებაში გადაეცით და საშუალო სკოლასაც უფრო სასტიკად უგდე ყურიო, ზენგერს სამსახურიდამ გამოსვლა უნდოდა. ხოლო ზელმწიფემ უთხრა, ჯერ კიდევ მოიცადეო. ცდა დიდხანს არ მოუხდა. მემჩერსკის და პლევეს მეცადინეობით ზენგერის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. დააბეზღეს ზელმწიფესთან, გემნაზიების მინისტრი ყურს არ უგდებსო. ხულ ნიღილსტებით გაივსოვო. ზენგერი დაითხოვეს და, იმის მაგიერ რომ სახელმწიფო საბჭოში ჩაერიცხათ, სენატში ჩარიცხეს (Осв. № 41).

—«»—

რუს-ეჭიმთა IX კონგრესის დადგენილება.

„კონგრესი აზრით სამეცნიერო და საჰიგიენო ცოდნის გავრცელება ხალხში უმთავრესი საფუძველია ხალხში განათლების გამტკიცებისათვის და ჯანმრთელობის დაცვისათვის. ხოლო კონგრესის ერთის სექციის აზრით ამ მხრივ პროგრესი შეუძლებელია თანამედროვე რეჟიმის პირობებში და ამიტომ საჭიროდ მიაჩნია შემდეგის რეფორმების შემოღება:

1° ცენზურის მოსპობა, რომელიც ჭკლავს ხალხში პროპაგანდის თავისუფლებას.

2° ადმინისტრატიულ თვითნებობის გაუქმება. კერძო კომიტეტებს სრული თავისუფლება უნდა მიენიჭოსთ ხალხის განათლების საქმეში.

რაც შეეხება მედიცინის და ჰიგიენის საერთო სექციების დადგენილებას, იგი შემდეგი იყო:

1° სისტემატიური ბრძოლა ლოთობის (ალკოგოლიზმის) წინააღმდეგ, რომლის მძვინვარება სოციალურ უბედურებად ჩაითვლება რუსეთში, შესაძლებელია მხოლოდ შემდეგ პირობებში: ადამიანის პიროვნების თავისუფლება ხელშეუხებელი უნდა იყოს, საჯარო კრებების გამართვას და პრესასაც სრული თავისუფლება უნდა მიეცეს. ყოველივე ეს აუცილებელი პირობებია ალკოგოლიზმის გავრცელების წინააღმდეგ, რადგან ცოდნის და გამოფხიზლების საშუალებით ხალხი გაიგებს მის მავნებლობას და განვითარების მიზეზსაც.

2° კონგრესი პროტესტს აცხადებს ებრაელების განსაზღვრულ ადგილებში (უმეტეს შემთხვევაში დასავლეთ და სამხრეთ ქალაქებში) ძალდატანებულ შეჯგუფვის წინააღმდეგ. ებრაელებსაც უნდა მიეცეთ უფლება ისარგებლონ სოფლის ზმინდა ჰაერით, ამიტომ მათ უნდა მიენიჭოსთ თავისუფალ მისვლა-მოსვლის უფლება".

როდესაც სექციების მდივნებმა წაიკითხეს საჯაროდ ამგვარი დადგენილებანი, კონგრესის თავმჯდომარეს გული გაუსქდა, აქ ყველანი არ დაგვატუსაღოდ და უბრძანა შუსიკას ჰიმნი დაუკარითო. ჰიმნის გაგონებაზე დამსწრე საზოგადოებამ „მარსელიეზა" დასძახა (1).

—«»—

გერმანულ სოციალისტურ გაზეთ „ფორვერც"-ში დაბეჭდილია საუდუმლო დოკუმენტი რუსეთის მინაგან საქმეთა მინისტრისა, შესახებ იმ საიდუმლო სარჯისა, რომელსაც ეს სამინისტრო სწევს უცხოეთში თავის აგენტების შესანახად.

1826 წლიდანაო, — ნათქვამია ამ ქაღალდში, — მთავრობის საწინააღმდეგო საზოგადოებათა გამრავლებამ, სტუდენტების, მუშების და გლეხების ზმირმა არეულობამ იძულებული გვყო თვით იმპერიაში და საზღვარგარეთ გაგვემრავლებინა აგენტები, ასე რომ სარჯმა ძალზე იმატა. 1894 წ. საზღვარგარეთის ჯამუშების შესანახად 64,000 მანეთი დაიხარჯა, ხოლო 1903 წ. — 178,665 მანეთი.

წინედ, — დასძენს ამ მოხსენების შემდგენელი, — ვყაირათობდით და სარევოლუციო ბრძოლის წინააღმდეგ ცოტა-სა ვხარჯავდით; იმედი გვქონდა ფიხს ჯასასვლელად დითობამ რევოლუციონერებს ფრთები შეასხა და ისეთი ძალა მოიკრიბეს, რომ სამინისტროს მართვებს ანგარიში გაუწიოს.

(ეს ცხრილი შედგენილია „საქ." ასოთ-ამწყობისაგან).

(1) La Tribune Russe n° 4.

სიმართლე ომის შესახებ

ქვემოდ მოყვანილი ცხრილი ნათლად დაანახვებს მკითხველებს თუ როგორ განადგურებულია იაპონელთაგან რუსების ფლოტი მორ. აღმოსავლეთში და კერძოდ — პორტ-არტურს. (ფასები გამოსახულია ფრანკებით. 1 ფრ. 35 — 40 კაპ.).

8 იანვრამდე პორტ-არტურში რუსებს ჰქონდათ			17 აპრილამდე (ახ. სტ.) დაღუპეს და დაუზიანდათ		
გემთა სახელები	წყალმი ჩაუშვეს	ტოვნს იწოდნენ	გემთა სახელები	ფასი	რა მოეგებოდათ
ჯავშნიანი გემები (7)					
ცესარევიჩი	1901	13.000	ცესარევიჩი	34.500.000	ნაღმმა დაზიანა, ბრძოლაში ვერად მიიღეს მონაწილეობას.
პეტროპავლოვსკი	1894	10.960			
პეტროპავლოვსკი	1894	10.960	პეტროპავლოვსკი	32.500.000	აღეთეგ.
სებასტოპოლი	1895	10.960			
მეფეს ვმეტ	1898	12.674	ბეტრიოტი	27.300.000	ნაღმისგან დაიღუბა.
პობედა	1900	12.674			
რეტვიზანი	1900	12.700	პოლტავა	27.500.000	დაზიანებულია წყლის გასწვრივ.
ბრეიხერები (6)					
ბოიანი	1900	7.800			
ასკოლდი	1900	6.500			
ბოიარინი	1900	3.200			
ნოვიკი	1900	3.000			
დიანა	1899	6.630			
პალადა	1899	6.630			
სოტნიაზენი (2)					
ენისეი	1900	2.300			
ანგარა					
საკანონიერ (2)					
ბობრი	1885	950			
ოტვაკინი	1892	1.500			
12 ნაღმიდ და ნაღმთა განადგურებელი					
			ბობრი	32.500.000	ნაღმმა დაზიანა, ბრძოლაში ვერად მიიღეს მონაწილეობას.
			ოტვაკინი	7.000.000	ნაღმისგან დაიღუბა.
			ბოიარინი	4.000.000	ნაღმისგან დაიღუბა.
			ენისეი	ნაღ. კაბ.	დაიღუბა.
			სტერეგეჩი	ხანაღმ	დაიღუბა.
			სტრაბნი	ხანაღმ	დაიღუბა.
			ხილნი	?	დაიღუბა (ჩაფლულია).
			ბორეცი (ჩაფლულია).	?	
			ვარიაგი (ჩაფლულია).	?	

გაზ. „საქართველოს" ტალმა. 51, rue Saint-Sauveur, Paris.